ჭეშმარიტად, თქვენს შორის ყველაზე ღვთისმოშიში და ყველაზე მეტად ალლაჰის მცოდნე მე ვარ

გადმოცემულია მორწმუნეთა დედის აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როდესაც მათ რამეს უბრძანებდა, უბრძანებდა იმ საქმეებს რომელიც მათ შეეძლოთ, და ამბობდნენ: ჩვენ შენი მსგავსი არ ვართ, ო, ალლაჰის შუამავალო, ჭეშმარიტად, ალლაჰმა მოგიტევა შენ წარსულში ჩადენილი ცოდვები და მომავალში არსებული, შუამავალი ბრაზდებოდა ისე, რომ შემდეგ სიბრაზე ემჩნეოდა სახეზე, და ამბობდა: «ჭეშმარიტად, თქვენს შორის ყველაზე ღვთისმოშიში და ყველაზე მეტად ალლაჰის მცოდნე მე ვარ».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ხალხს რაიმეს უბრძანებდა, ის ყველაზე ადვილს უბრძანებდა მათ, რათა მარტივი ყოფილიყო მათთვის მისი შესრულება ყოველგვარი სირთულეების გარეშე, იმის შიშით იქცეოდა ასე, რომ მათ არ შეეწყვიტათ სისტემატიური ქმედებები, და ის აკეთებდა მსგავს ქმედებებს რასაც მათ უბრძანებდა უფრო შემსუბუქებული ფორმით, მაგრამ მათ ისურვეს მისგან უფრო მეტი, რაც მათთვის სირთულეს წარმოადგენდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ მათ სჭირდებოდათ უფრო მეტის გაკეთება, რათა ამაღლებულიყო მათი საფეხურები. და ამბობდნენ: ჩვენი მდგომარეობა შენს მდომარეობას არ ჰგავს ო, ალლაჰის შუამავალო, ჭეშმარიტად, ალლაჰმა გაპატია შენ ყველა ცოდვა რაც წარსულში იყო და რაც მომავალშია, ის გაბრაზდა ისე, რომ მას სიბრაზე დაემჩნა სახეზე, შემდეგ თქვა: ჭეშმარიტად, მე თქვენს შორის ყველაზე მეტად ღვთისმოშიში ვარ და ყველაზე უკეთესად ვცნობ ალლაჰს, შეასრულეთ ის, რასაც გიბრძანებთ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65121

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee